საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1815 2012 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და „EMC Computer Systems Austria GmbH“-ს, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და „EMC INFORMATION SYSTEMS INTERNATIONAL“-ს შორის გასაფორმებელი მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პროექტების მოწონების თაობაზე

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და „EMC Computer Systems Austria GmbH“-ს, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და „EMC INFORMATION SYSTEMS INTERNATIONAL“-ს შორის გასაფორმებელი მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პროექტები.

2. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებების მიმართ არ გავრცელდეს ამავე წესის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტითა და 21-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი **ივანე მერაბიშვილი**

გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა